

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 1-15.

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენს მიერ არჩეული პასუხის მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცელზე სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. არცერთი სხვა აღნიშვნა, ჰორიზონტალური თუ ვერტიკალური ხაზები, შემოხაზვა და ა.შ. ელექტრონული პროგრამის მიერ არ აღიქმება. თუ გსურთ პასუხების ფურცელზე მონიშნული პასუხის გადასწორება, მთლიანად გააფერადეთ უჯრა, რომელშიც დასვით X ნიშანი და შემდეგ მონიშნეთ პასუხის ახალი ვარიანტი (დასვით X ნიშანი ახალ უჯრაში). შეუძლებელია, ხელმეორედ აირჩიოთ ის პასუხი, რომელიც გადაასწორეთ. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

1. რომელ სახელმწიფოთა მმართველების წარწერები მოგვითხრობს უძველესი ქართული პოლიტიკური გაერთიანებების, დიაოხისა და კოლხას შესახებ?

- ა) ასურეთისა და ხეთების
- ბ) ხეთებისა და სპარსეთის
- გ) სპარსეთისა და ურარტუს
- დ) ურარტუსა და ასურეთის

2. რომელია მართებული მსჯელობა კუნძულ სალამინთან გამართული ბრძოლის შედეგის შესახებ?

- ა) ბერძნული ფალანგის შეტევების შედეგად სპარსულმა ჯარმა უკან დაიხია და ათენი საფრთხეს გადაურჩა
- ბ) ბერძნულმა ფლოტმა აქ სპარსელებს გზა გადაუკეტა და კონტინენტურ საბერძნეთში ჯარის გადასხმის საშუალება არ მისცა
- გ) კუნძულ სალამინთან მოპოვებული გამარჯვების შედეგად სპარსული ფლოტი გაბატონდა ეგეოსის ზღვაში
- დ) ბერძნების მიერ სპარსული ფლოტის განადგურების შედეგად ქსერქსე იძულებული გახდა უკან, აზიაში გაბრუნებულიყო

3. რომელი ისტორიული პროცესის შედეგია ასახული რუკაზე?



- ა) ასურეთის სამეფოს გაძლიერების;
- ბ) ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობების;
- გ) სელევკიდების სამეფოს ჩამოყალიბების;
- დ) კიროს დიდის დაპყრობების.

4. რა უმთავრესმა მიზეზმა განაპირობა პუნიკური ომები?

- ა) ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის აღდგენის მცდელობამ
- ბ) დიდი აბრეშუმის გზის ხელში ჩაგდების სურვილმა
- გ) ბერძნულ პოლისებს შორის პირველობის მოპოვების მცდელობამ
- დ) ხმელთაშუა ზღვის აუზში გაბატონების სურვილმა

5. რომელი მსჯელობაა მართებული არაბთა სახალიფოს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით?

- ა) სახალიფოში შენარჩუნდა ირანული ტრადიციები, რადგან პირველი ვეზირი ალ-მულქი ირანელი იყო;
- ბ) ისლამსა და სახელმწიფოს ერთდროულად ეყრებოდა საფუძველი, რადგან ამ პროცესებს მუჰამედი წარმართავდა;
- გ) სახელმწიფოს ჩამოყალიბება მეზობელი ხალხების თავდასხმების მოგერიების აუცილებლობამ განაპირობა;
- დ) სახალიფოს ჩამოყალიბების შედეგად შეწყდა ისლამში არსებული დაპირისპირებით გამოწვეული შინაომები;

6. რომელი ქართული პოლიტიკური ერთეული მონაწილეობდა X-XI საუკუნეთა მიჯნაზე საქართველოს გაერთიანების პროცესში?

- ა) წანარეთის სამეფო
- ბ) ქართლის სამთავრო
- გ) აფხაზთა სამეფო
- დ) იმერეთის სამეფო

7. რა არ იყო რაინდული ორდენების ამოცანა?

- ა) საერო საგანმანათლებლო ცენტრების დაარსება
- ბ) ჯვაროსნული სახელმწიფოების დაცვა
- გ) მომლოცველების გადაადგილების ხელშეწყობა
- დ) დაჭრილი ქრისტიანების მოვლა-პატრონობა

8. სხვა მიზეზებთან ერთად რამ განაპირობა 1302 წელს საფრანგეთში წოდებრივ-წარმომადგენლობითი ორგანოს - გენერალური შტატების, მოწვევა?

- ა) საზოგადოებაში გამოწვეულმა სოციალურმა დაპირისპირებამ;
- ბ) მეფესა და პაპს შორის არსებულმა კონფლიქტმა;
- გ) ესპანეთთან ომის პირველ ეტაპზე განცდილმა მარცხმა;
- დ) ბარონებს შორის დაუსრულებელმა ომებმა.

9. რაზე მიუთითებდა გიორგი V-ის დროს ეგვიპტის სულთნის მიერ ქართველებისათვის იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და „იერუსალიმის კლიტეა“ გადაცემა?

- ა) ქართველთა მონაწილეობით შემდგარი ჯვაროსნული ლაშქრობის წარმატებაზე
- ბ) ოცდაათწლიანი ომის შემდეგ ეგვიპტესთან ზავის დადებაზე
- გ) ეგვიპტეში ქართველი მამელუქების მიერ გავლენის მოპოვებაზე
- დ) საქართველოს ავტორიტეტისა და გავლენის გაზრდაზე

10. სხვა მიზეზებთან ერთად, რამ მისცა ბიბგი დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების დაწყებას?

- ა) ასწლიანი ომის დამთავრების შემდეგ დაუსაქმებელი მეომრების დიდმა რაოდენობამ
- ბ) კონსტანტინოპოლის დაცემამ და აღმოსავლეთ-დასავლეთის სავაჭრო გზის ჩაკეტვამ
- გ) საღვთო რომის იმპერიის მიერ იტალიის დაპყრობის შემდეგ ვენეციისა და გენუის დაცემამ
- დ) კათოლიკური ეკლესიის მოწოდებამ მთელ მსოფლიოში ქრისტიანობის გავრცელების შესახებ

11. რომელი მსჯელობაა მართებული შაჰის მიერ სიმონ I-ის ტყვეობიდან გაათავისუფლებასთან დაკავშირებით?

- ა) ხანგრძლივი ტყვეობის შემდეგ სიმონმა ისლამი მიიღო, ამიტომ გაათავისუფლეს და ქართლის ამირად დაადგინეს;
- ბ) ირანში იცოდნენ, რომ სიმონი ქართლში დაბრუნების შემდეგ ოსმალების წინააღმდეგ იბრძოლებდა და ამიტომ გაათავისუფლეს;
- გ) ქართლ-კახეთში დაწყებულმა აჯანყებამ აიძულა შაჰი, მძევლად მყოფი სიმონი გაეთავისუფლებინა;
- დ) ირანში ქართლის მოკავშირე რუსეთის მეფის თხოვნას ანგარიში გაუწიეს და სიმონ მეფე გაათავისუფლეს.

12. რა მოვლენას მოჰყვა შედეგად შარლ X-ის საფრანგეთიდან გაქცევა?

- ა) სედანთან განცდილ მარცხს და საფრანგეთის არმიის დანებებას
- ბ) ნაპოლეონის მიერ კუნძულ წმ. ელენეს დატოვებას და საფრანგეთში დაბრუნებას
- გ) მარენგოს ბრძოლას, რომლის შემდეგაც მოკავშირეებმა პარიზი დაიკავეს
- დ) პარიზში დაწყებულ აჯანყებას, რომელიც რევოლუციაში გადაიზარდა

13. მეორე მსოფლიო ომის წინ ჰიტლერის მიერ განხორციელებული რომელი ქმედება მიანიშნებდა გერმანიის აგრესიულ საგარეო პოლიტიკურ კურსზე?

ა) ფინეთთან ომის დაწყება

ბ) დანიისა და ნორვეგიის ოკუპაცია

გ) რაინის დემილიტარიზებულ ზონაში ჯარის შეყვანა

დ) თავდაცვითი ზღუდის ე.წ. „მაჟინოს ხაზის“ მშენებლობა

14. რა მოიმოქმედა გენერალმა შარლ დე გოლმა საფრანგეთის კაპიტულაციის შემდეგ?

- ა) დაემორჩილა კაპიტულაციის პირობებს და ოკუპანტების მიერ შექმნილ კოლაბორაციონისტულ მთავრობას ჩაუდგა სათავეში
- ბ) გადავიდა ინგლისში და იქიდან ხელმძღვანელობდა ფრანგების ბრძოლას გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ
- გ) არ დაეთანხმა საფრანგეთის კაპიტულაციის პირობებს და პროტესტის ნიშნად დატოვა სამხედრო სამსახური
- დ) შეწყვიტა ბრძოლა გერმანელების წინააღმდეგ, მაგრამ არ თანამშრომლობდა კოლაბორაციონისტულ მთავრობასთან

15. ვინ იყო „აპარტეიდის“ წინააღმდეგ ბრძოლის ლიდერი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში?

ა) იასირ არაფატი

ბ) კოფი ანანი

გ) მარტინ ლუთერ კინგი

დ) ნელსონ მანდელა

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 16-18.

ქრონოლოგიურად დაალაგეთ ისტორიული მოვლენები ან პიროვნებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელზე მოცემულ უჯრებში. გაითვალისწინეთ, რომ უჯრაში იწერება მხოლოდ დასახელებული მოვლენის ან პიროვნების შესაბამისი ციფრი. პირველ უჯრაში იწერება ის ციფრი, რომლითაც ყველაზე ადრე მომხდარი მოვლენაა აღნიშნული და ა.შ. შესაბამისად, ბოლო, მესამე უჯრაში ის ციფრი ჩაიწერება, რომლითაც ყველაზე გვიან მომხდარი მოვლენა აღინიშნა. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.

16. ქრონოლოგიურად დაალაგეთ ძველი ეგვიპტის ისტორიასთან დაკავშირებული მოვლენები:

1. ასურელების მიერ ეგვიპტის დაპყრობა
2. ჰიქსოსების შემოსევა ეგვიპტეში
3. ფარაონ ეხნატონის მოღვაწეობა

17. ქრონოლოგიურად დაალაგეთ სელჩუკთა სულთნები მათი მმართველობის დროის მიხედვით.


1. მაღიქ-შაჰი
2. ალფ-არსლანი
3. თოდრულ-ბეგი

18. დაალაგეთ თანმიმდევრობით II მსოფლიო ომის შემდეგ მომხდარი მოვლენები.

1. „მარშალის გეგმის“ შემუშავება
2. „ვარშავის პაქტის“ ხელმოწერა
3. „ნატოს“ შექმნა

ინსტრუქცია დავალებისთვის №19. მოცემულია ერთი ბრძოლის აღმწერი ორი სხვადასხვა ტიპის წყარო:
1. ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდის სქემა და 2. არასრული წერილობითი წყარო. ორივე წყაროს გაცნობის შემდეგ უპასუხეთ დასმულ კითხვებს. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

წყაროები და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



დასაწყისში რომელი ქვეითები შეტევაზე გადავიდნენ. კართაგენელთა ცენტრმა შეტევას ვერ გაუძლო და უკან დახევა დაიწყო. ფლანგები ჯერ კიდევ აკავებდა მოწინააღმდეგეს. კართაგენელთა ცენტრმა ისეთი ნახევარმთვარის ფორმა მიიღო, რომელსაც მტრისკენ ამჯერად „ჩაზნექილი“ მხარე ქონდა მიშვებული. კართაგენელთა მარცხენა ფრთაზე მყოფმა კავალერიამ რომაელთა მარჯვენა ფლანგზე მდგომ ცხენოსნებს შეუტია, დაამარცხა და გააქცია შემდეგ კი რომაელთა მარცხენა ფრთაზე მყოფ კავალერიას ზურგიდან შეუტია. რომის მოკავშირეთა ცხენოსანი ჯარი ორმაგი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა, რადგან წინიდან ნუმიდელიები უტევდნენ ... კართაგენელი ცხენოსნები მოტრიალდნენ და რომაელი ქვეითების ზურგში აღმოჩნდნენ. ამასობაში ლეგიონერები მოწინააღმდეგის შუაგულს სულ უფრო ავიწროვებდნენ და უკან ახევინებდნენ, მაგრამ ამავე დროს თავად სულ უფრო ღრმად „ეფლობოდნენ“ კართაგენელთა განლაგებაში. ბრძანების მიღებისთანავე ფლანგებზე მყოფმა კართაგენელებმა ლეგიონერებს გვერდიდან შეუტოეს, ხოლო კავალერიამ ზურგში დაარტყა. რომაელი ქვეითები ალყაში აღმოჩნდნენ. ბრძოლის ბედი გადაწყვეტილი იყო.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

- (1) 19.1. ვისი ჯარია აღნიშნული ბრძოლის სქემაზე ლურჯი ფერით?
- (1) 19.2. რომელ წყაროშია აღწერილი, რა მოიმოქმედა რომის მოკავშირეთა კავალერიამ?
- (1) 19.3. რა მოიმოქმედა რომის მოკავშირეთა კავალერიამ?
- (1) 19.4. ბრძოლის რომელი ეტაპია ასახული სქემაზე?

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 20.

ყურადღებით გააანალიზეთ ილუსტრაციაზე მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ დასმულ კითხვებს. ყოველ კითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 4.

ილუსტრაცია და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

დავალება 20.

საქართველო **გაზეთი** **წელიწადი** **გეგმა**

10 მან. ხუთ შაბათი, ნოემბრის 25 1920 წ.

შთაგრობის მოამბე, უოგელდდიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველო ოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან.
განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ზე გ. 10 მან.
სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ.
საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლო. უწყ. განცხადებ.
ანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიბრზე მეტი 20-ზე, რედა-
ქციის და კანტ მისამართი: ტფ., მარტოვი ქ. № 6. ტელეფ. 1—82.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

- (1) **20.1.** რა ეწოდებოდა გაზეთს, რომლის პირველი გვერდის ფრაგმენტიც წარმოდგენილია ილუსტრაციაზე?
- (1) **20.2.** ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, რომელ წელს დაარსებულა აღნიშნული გაზეთი?
- (1) **20.3.** ილუსტრაციაზე არსებული ინფორმაციიდან გამომდინარე, ხელისუფლების რომელი შტოს პერიოდულ ორგანოს წარმოადგენდა აღნიშნული გაზეთი?
- (1) **20.4.** აღნიშნული გაზეთის გამოცემა შეწყდა 1921 წელს. რა იყო ამის უმთავრესი მიზეზი?


ინსტრუქცია დავალებისთვის №21.

დავალებაში მოცემულია გარკვეული ეპოქის ისტორიული რუკა. უპასუხეთ დასმულ კითხვებს, ხოლო პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 11.

დავალება 21.

რუკა და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე





კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდზე

კითხვები:

- (1) **21.1.** რომელი საუკუნის ვითარებაა ასახული რუკაზე?
- (1) **21.2.** რომელი ხალხის მიერ განხორციელებული დაპყრობებია ასახული რუკაზე?
- (1) **21.3.** რუკის მიხედვით, ვისი მეთაურობით განხორციელდა ლაშქრობები, რომლის დროსაც დაიპყრეს საქართველო?
- (1) **21.4.** რუკის მიხედვით, აზიის რომელი ქალაქი დარჩა იმპერიის საზღვრებს მიღმა ამ უკანასკნელის ძლიერების ხანაშიც კი?
- (1) **21.5.** რუკის მიხედვით, რომელი ქალაქიდან იწყებს მოგზაურობას მარკო პოლო და რომელ ქალაქში ჩასვლა იყო მისი მოგზაურობის საბოლოო მიზანი?
- (2) **21.6.** თქვენი აზრით, რომელმა ფიზიკურ-გეოგრაფიულმა ფაქტორმა და რატომ განაპირობა სამხრეთ კავკასიიდან ჩრდილოეთ კავკასიაში ლაშქრობის იმ მარშრუტის არჩევა, რომელიც რუკაზეა დატანილი?
- (2) **21.7.** რუკის მიხედვით, რუსეთის რომელი ქალაქები განიცდიდნენ ყველაზე ნაკლებად დამპყრობთა ბატონობას? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.
- (2) **21.8.** რუკის მიხედვით, დაასახელეთ პიროვნება, რომელმაც ილაშქრა ყველაზე დასავლეთით და რომელ ქალაქთან მოუწია ბრძოლის გადახდა ამ ლაშქრობისას?

ინსტრუქცია დავალებებისთვის № 22 და 23.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტები და შეასრულეთ დავალებები. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. გაითვალისწინეთ, არგუმენტი უნდა იყოს კონკრეტული, ნათლად ჩამოყალიბებული და დასრულებული აზრის მქონე. თითო არგუმენტი ფასდება 1 ქულით.

დავალება 22.

1555 წელს აუგსბურგის რელიგიური ზავის დადების წინ კარლოს V-ის მომხრეთა შორის კამათი გაიმართა. ერთ-ერთი დიდებული ზავის დადების მომხრე იყო. მეორე კი, პირიქით, ზავის დადების წინააღმდეგ გამოდიოდა.

მოიყვანეთ ერთი კონკრეტული არგუმენტი, რომლითაც ზავის დადების მომხრე დიდებული თავის პოზიციას დაიცავდა.

მოიყვანეთ ერთი კონკრეტული არგუმენტი, რომლითაც ზავის დადების მოწინააღმდეგე დიდებული თავის პოზიციას დაიცავდა.

დავალება 23.

1920 წელს ერთა ლიგაში განიხილებოდა საქართველოს მიღების საკითხი. ერთა ლიგის დელეგატთა ნაწილი მიღების მომხრე იყო, ნაწილი კი - წინააღმდეგი.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც საქართველოს ერთა ლიგაში მიღების მომხრე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

მოიყვანეთ ერთი არგუმენტი, რომლითაც საქართველოს ერთა ლიგაში მიღების მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

ინსტრუქცია დავალებისთვის №24.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

დავალება 24.

1861-1865 წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა. გაიხსენეთ ეს ომი და უპასუხეთ დასმულ შეკითხვებს:

(1) **24.1.** რა მიგაჩნიათ ამ ომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგად?

(1) **24.2.** შეაფასეთ თქვენს მიერ დასახელებული შედეგის მნიშვნელობა (დადებითი ან უარყოფითი) აშშ-ს ისტორიისთვის და აუცილებლად მოიტანეთ არგუმენტი საკუთარი მოსაზრების განსამტკიცებლად.

ინსტრუქცია დავალებისთვის №25.

ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოტანილი ისტორიული დოკუმენტი, გაიაზრეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილას. დავალების მაქსიმალური ქულაა 17.

ისტორიული დოკუმენტი და კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე



დავალეზა 25. ნაწყვეტი „ქართლის ცხოვრებიდან“

„გარდაიცვალა მეფე გიორგი, შეიქმნა უზომო გლოვა და მწუხარება. განსაკუთრებულად იგლოვდა მისი და, რუსუდანი. გამეფდა თამარი დასაბამიდან ექვსი ათას ექვსას ოთხმოცდაექვს წელს, ასული მეფეთ მეფისა გიორგისი, რომელიც იყო დიდი დავითის ძის, დემეტრეს ვაჟი.

თამარმა საჭიროდ მიიჩნია საეკლესიო კრების მოწვევა. პირველ რიგში წმიდა ქალაქიდან მოუწოდა ნიკოლოზ გულაბერისძეს, რომელსაც თავმდაბლობის გამო უარი ჰქონდა ნათქვამი ქართლის კათოლიკოსობაზე. კრებაზე წინამძღვრობდა ზემოთ ნახსენები ნიკოლოზი და ანტონ ქუთათელი საღირისძე, დიდად განთქმული სათნოებითა, სიტყვითა და ძლიერი საქმითა. ნიკოლოზმა და

ანტონმა არ ინებეს, რომ მათ შორის ყოფილიყო ქართლის მაშინდელი კათოლიკოსი, რადგან გადაუხვია მან ეკლესიის წესებს, მზაკვრობით მოიპოვა ჭყონდიდელ-მაწყვერლობა და მწიგნობართუხუცესობა. ვერ გადააყენეს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ეცადნენ. ზოგიერთი ეპისკოპოსი შეიცვალა და მათ ნაცვლად საღმრთო კაცები დასხეს, ბევრი საეკლესიო წესიც აღადგინეს, უკეთურთა მიერ დარღვეული.

კრების დამთავრების შემდეგ შემოვიდნენ სამეფოს სპასალარნი და ერისთავნი და მოახსენეს მამებს, რომ საჭირო იყო ზრუნვა, რათა შეერჩიათ სიძე. გაგზავნეს კაცი რუსთა სამეფოში, როგორც ქრისტიან და მართლმადიდებელ ქვეყანაში. გარკვეული დროის შემდეგ დაბრუნდა წარგზავნილი და ჩამოიყვანა კაცი დიდგვაროვანი. არც გარეგნობით იყო დასაწუნი.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

როდესაც იგი იხილეს, ყველას მოეწონა, რადგან არავინ იცნობდა მის ბუნებასა და ზნეს.

შეიკრიბნენ რუსუდან დედოფალთან პატრიარქი და დიდებულნი, სპასპეტნი და ერისთავნი. აცნობეს თამარს, შესთავაზეს ქორწინება და თანაც აჩქარებდნენ. თამარ მეფის პასუხი ასეთი იყო: „როგორ შეიძლება ასეთი მოუფიქრებელი ნაბიჯის გადადგმა? ამ უცხო კაცის შესახებ არაფერი ვიცით. დრო მომეცით, სანამ გაირკვევა მისი სიკეთე ან სიმრუდე“. ისინი კი წინააღმდეგობას უწევდნენ. უშვილობას ახსენებდნენ, სპათა წინამძღოლს ითხოვდნენ. ხანგრძლივი კამათის შემდეგ თამარის სურვილის გარეშე ქმნეს ქორწილი.

ახდა თამარის ნათქვამი, რუსმა გამოავლინა თავისი ბუნების უარყოფითი მხარე. ორნახევარი წლის

მანძილზე ითმენდა თამარი რუსის უკეთურებას. თამარმა მრავალი რამ იღონა რუსის განსაკურნავად, მაგრამ ამაღ რუსს სარგებელი ვერ მოუტანა. რუსუდან დედოფალმა და მთავრებმა გააძევეს რუსი.

ოვსთა მეფეს ყავდა შვილი, რუსუდან დედოფლის გაზრდილი. ყველამ ერთხმად ინება მისი თამარისთვის შერთვა. თამარი, რომელიც იცნობდა ყრმობიდან, დაემორჩილა მათ სურვილს.

მცირე შფოთი მოაწყეს იმერელებმა და სვანებმა და მოიყვანეს რუსი კვლავ გასამეფებლად. სურდათ მესხთა მიმხრობაც, მაგრამ ვერ მოახერხეს. გააქციეს შერცხვენილი მეამბოხეები.

მოიყვანა გარეჯიდან ანტონ გლონისთავისძე, რომელიც ადრე ჭყონდიდელი იყო, მაგრამ მიქაელ კათოლიკოსმა მოსტაცა მას ეს პატივი. დასვა ისევ

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

ტექსტის გაგრძელება იხილეთ შემდეგ გვერდზე

ვაზირად, მისცა ჭყონდიდი, სამთავისი და მწიგნობართუხუცესობა. უბოძა ზაქარიას - ამირსპასალარობა. მის უმცროს ძმას, ივანეს - მსახურთუხუცესობა. მოიყვანეს ჭიაბერი, კაცი მართალი და ერთგული, მისცეს მანდატურთუხუცესობა.

გაზარდა ქვეყნის კეთილდღეობა ლაშქრის წარმატებებმა. შევიწროვდნენ სპარსელნი ყველგან. ამიტომ მოილაპარაკეს და ყოველი მხრიდან შეიკრიბნენ. გაიგო რა ეს თამარმა, იხმო ყველა ვაზირი და იწყო დავალებათა მიცემა. უბრძანა ანტონ ჭყონდიდელს, იჩქარეთ ბრძანების გაცემა, რათა სწრაფად შეიკრიბოს მხედრობა და ასევე ამცნეთ ყველა ეკლესიასა და მონასტერს, რათა განუწყვეტლივ ღამისთევანი და ლიტანიობანი ადასრულონ.

გადასვლა კითხვებზე: [1](#) [2](#) [3](#) [4](#) [5](#) [6](#) [7](#) [8](#) [9](#) [10](#) [11](#) [12](#)

ასე ბრძანა მან და ბრძანება საქმედ იქცა. ათი დღის მანძილზე, როგორც შევარდენტა გუნდი, ისე მოფრინდნენ ყოველი მხრიდან მხედარნი. შევიდნენ რა მათ მხარეში, იხილეს მტერი განძასა და შამქორს შორის დაბანაკებული. როგორც ვეფხვნი, ისე ეკვეთნენ მოწინააღმდეგეს. პირველსავე შეტევისას მტრის ათჯერ აღმატებული რაზმი დაშალეს. მივიდნენ განძამდე, სადაც გამოეგებნენ ქალაქის მცხოვრებნი, ითხოვეს მშვიდობა და ქალაქის ნებით ჩაბარება.

მხოლოდ ალაფით არ ამდიდრებდა ქვეყანას თამარი, სარწმუნოებითაც ამტკიცებდა. ყველა თავ-თავის საქმეს აკეთებდა.

დიდად სახელგანთქმული ქალაქის, ტფილისის ერთი წლის შემოსავალი ვერ დაფარავდა იმავე წლის მანძილზე მახარობელთათვის გასაცემ თანხას.

კითხვები იხილეთ შემდეგ გვერდებზე

კითხვები:

- (1) **25.1.** წყაროს მიხედვით, რა მიზეზებით აჩქარებდნენ დიდებულები თამარ მეფეს დაქორწინებას?
- (1) **25.2.** წყაროში არსებული ინფორმაციის მიხედვით, რატომ დათანხმდა თამარი ქორწინებას ოსთა მეფის შვილზე?
- (1) **25.3.** წყაროში არსებული ინფორმაციის მიხედვით, კონკრეტულად სად განაგრძო მოღვაწეობა ანტონ გლონისთავისძემ, მას შემდეგ რაც დაკავებული თანამდებობები წაართვეს?
- (1) **25.4.** წყაროში არსებული რა ინფორმაცია ადასტურებს, რომ თამარ მეფის დროს ქართველთა მხედრობა მრავალ გამარჯვებას აღწევდა?

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

- (1) **25.5.** რა სახელითაა ცნობილი ისტორიაში ბრძოლა, რომელზეც მემატთანე მოგვითხრობს?
- (1) **25.6.** წყაროს მიხედვით, რა გახდა ამ ბრძოლის მიზეზი?
- (1) **25.7.** მეფის გარდა, სამეფო ოჯახის რომელი წევრის გავლენა ჩანს წყაროში? საკუთარი მოსაზრება აუცილებლად დაასაბუთეთ წყაროში არსებული ინფორმაციით.
- (2) **25.8.** წყაროს მიხედვით, დაასახელეთ ყველა ის საკითხი, რომელიც განიხილა საეკლესიო კრებამ.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)

- (2) **25.9.** წყაროს მიხედვით, რატომ იყო თამარი სწრაფი დაქორწინების წინააღმდეგი, რას ითხოვდა ის და რა მიზნით?
- (2) **25.10.** თამარ მეფის პირველ ქმართან დაკავშირებულ რა დადებით მომენტებს ასახელებს მემატიანე?
- (2) **25.11.** წყაროს მიხედვით, რა უბრძანა თამარ მეფემ ანტონ ჭყონდიდელს?
- (2) **25.12.** წყაროში არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დაასახელეთ მიქაელის წინამორბედი კათოლიკოსი და ქალაქი, სადაც მან გააგრძელა მოღვაწეობა გადადგომის შემდეგ.

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [1-ლ გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-2 გვერდზე](#)

გადასვლა დოკუმენტის ტექსტის [მე-3 გვერდზე](#)